საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

კვირა, 7 დეკემბერი 1919 წ. № 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღია 9—2 და 5—7).
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ადმინისტრაცია (ღია 9—2 და 5—7).
გაზეთის ფასი: ერთი თვით **50** მან. **3** თვით **130** მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე **2** მ. უკანასკნელზე **1** მ. **50** კ.
სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ **50** მ., **12** საათის შემდეგ **70** მ.

სამშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს $4^1/_2$ საათზე გაზ. „ჩვენი ქვეყანის“ რედაქციაში, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდათა კომიტეტის მიერ, დანიშნულია

კრება

ქუთაისში მყოფ ახალგაზრდებისა. კრებაზე მოსაწვევი ბარათები არავის დაეგზავნება. დასწრება ყოველი წევრისთვის აუცილებელია.

(2—უფ.—1.) **ახალგაზრდათა კომიტეტი.**

ქ. ქუთაისში

საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის მიერ, პირველ დეკემბრიდან გაიხსნა საბუხგალტერო ერთ წლიანი

საღამოს კურსები.

კურსების სამოსწავლო ნაწილის გამგეთ მოწვეულია ქუთაისის აზოვი-დონის ბანკის მმართველი ბ. ი. ი. პურადაშვილი, ლექტორებათ მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლით აღჭურვილნი სპეციალისტები, მსმენელებათ ჩაწერა და კურსების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აზოვი-დონის ბანკშო, კურსების კანცელარიაში. 3—3

იონა ნესტორის ძე ტოტოჩია

მსახურებდა მეორე მსროლელ რაზმის მეორე გუნდში. მის შესახებ ნათესავებმა 10 თვეა რაც არაფერი იციან. უმორჩილესად ვსთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის, გვაცნობონ შემდეგი მისამართით: აბაშა, სუჯუნა

ნესტორ ტოტოჩიას. (2—1).

გლეხებს დაუთმეს.

დამფუძნებელმა კრებამ მიწის კანონში ერთი შესწორება შეიტანა.

მიწის მესაკუთრეს უფლება ეძლევა მითვალოს ნორმაში ტყე.

იმავე დროს იქ, სადაც სოფელს ტყე არ აქვს, მიწისმოქმედს ეძლევა სახაზინო ტყიდან ფიჩხი და სხვა საჭირო ტყის მასალა უსასყიდლოდ.

ეს შესწორება—აუცილებელი იყო, მაგრამ საკ'ებით კმამყოფელი არ არის.

მიიღებს თუ არა მიწისმოქმედი უფასოდ სარს? ღობის შესარაგვ წნელ!? ამის შესახებ კანონი არაფერს ამბობს.

უეჭველია კი: სახლის ასაშენებელ მასალას უსასყიდლოდ ვერ მიიღებს.

ეს—დიდი დაბრკოლებაა.

მიწისმოქმედს ტყე მისთვის უნდა, რომ როგორც უნდა, მოიხმაროს.

და, ტყის ყოფილ პატრონს, რომ მის მიერ მოვლილსა და გაზრდილ ტყეში საფიცრე ხის მოჭრის უფლება არ მიეცეს, დიდი შეუსაბამობა იქნება.

იმავე დროს, თუ ასე მოხდება, სოფელში ძალიან გაჭირდება სახლის აშენება: ვის ექნება იმდენი ფული, რომ ყოველივე სატყეო მასალა იყიდოს?!.

სახლის აშენების გაძნელება კი გამოიწვევს თავისი მხრით—კულტურულ დაქვეითებას.

უნდა ვიცოდეთ: ჩვენი ქვეყანა—ფულითი მეურნეობის ქვეყანა არ არის და მიწის მუშა თავის მოთხოვნილებათა მეტ ნაწილს აკუთარი ხელითვე ნაკეთებით უძღვება.

მაგალითად, საზრდოდ თავისი შრომით მოწეულს სიმინდს, პურს, ლობიოსა და თავის მიერ მოშენებულ ხვადაგსა და ფრინველს ხმარობს.

თანსაცმელსა და ფეხსაცმელს საკუთარისავე ხელით ქსოვს, და კერავს.

ურემს, კალათს, ძარს—თავისი ხელით აკეთებს.

სახლს საკუთარივე ხელით აშენებს, ღობეს თავისი წნელითა და სარით რაგვავს და სხ.

და ბევრი წელიწადი გაივლის, ვიდრე ყველაფრის ფულით სყიდვას შეიძლებდეს!

მაშასადამე ტყის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი და კანონს ამ მხრით კიდევ დასჭირდება შ. რება.

მეორე მხრით, დარჩა მიწის კანონის ერთი მხარე, რომელიც მუდმივი უკმაყოფილების წყაროს წარმოადგენს.

ეს—ნორმის საკითხია.

საქართველოს მიწის მოქმედებაში უკიდურესი სპეციალიზაცია—არც არის და არც ოდესმე იქნება.

წვრილ მეურნეს მარტო მევენახეობა ან მარტო მებაღეობა ვერ ასაზრდოებს.

და არც ხორბლის მეურნეობას შეუძლია კმაჰყოს მისი ყოველივე მოთხოვნილება.

ამგვარი სპეციალიზაცია გერმანიაშიაც კი არ მომხდარა.

პირიქით წვრილი მიწის-მომქმედი ერთსადაიმავე დროს მევენახეც არის, მებაღეც, ხორბლის მეურნეც, ხვადაგისა და ფრინველის მომშენებელიცა და სხ.

მიწის მოქმედის ძალა—სწორეთ მრავალ მხრივობაშია.

ამისთვის კი მას სავენახე მიწაც უნდა ჰქონდეს, საბაღეც, საყანეც, სასაძოვროცა და ტყეც.

და განა შესაძლებელია, ყველა ხსენებული მეურნეობა შვიდ დესეტინაზე მოთავსდეს?!

მაშასადამე, თვითეული წვრილი მიწის მომქმედი, რომელიც კი თავისი მეურნეობის გაუმჯობესებას მოიწადინებს, ვერ დასჯერდება შვიდი დესეტინის ნორმას.

მაგრამ ეს კიდევ ნახევარი უბედურობაა. აღკრძალულია მიწის ყიდვა-გაყიდვა.

ორი დესეტინის პატრონს არ შეუძლია იყიდოს ზედმეტად ერთი დესეტინა.

არ შეუძლია მაშასადამე გააუმჯობესოს თავისი პატარა მეურნეობა.

შეიძლება გვითხრან: მიწის ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვა—დროებითია და შემდეგ ნებადართული შეიქნება, რასაკვირველია, შვიდი დესეტინის ფარგალშიო.

მაგრამ ჯერ ერთი, თუ აღკრძალვა—სოციალისტური კანონის ნიშნობლივი თვისება არ არის, რისთვის აქამდის არ გაუქმდა?!

და, მეორე, კიდევაც რომ ნებადართული შეიქნეს ყიდვა-გაყიდვა შვიდ დესეტინამდე, ეს მაინც ვერ უშველის საქმეს.

ჩვენში ეგრეთ წოდებული მაიორატი არ არ!, ე. ი. საკუთრების მემკვიდრეობა მარტო უფროს შვილზე არ გადადის.

და დღევანდელი შვიდ დესეტინიანი ნორმა შემდეგ თაობაში ორ დესეტინიანად გადიქცევა.

მაშასადამე მეურნეობა უფრო და უფრო დაქვეითდება.

შეიძლება სთქვან: რატომ არ შეუძლია ორი დესეტინის პატრონს კიდევ რამდენიმე დესეტინა შეიძინოსო?!

მიტომ, რომ ახლად გამოყოფილ ოჯახს ამის საშუალება არ ექნება.

დღემდის საქმე ამ გვარად წარმოობდა: გაიყოფელი ოჯახი, რომლის თვითეულ წევრს ფული და შრომა შემოჰქონდა, ჯერ მიწას ყიდულობდა და შემდეგ იყოფოდა.

და უეჭველია: ყოველი ლონიერი მიწის მოქმედი, ე. ი. აქტიური ელემენტი, რომელსაც მეურნეობის გაუმჯობესება სწადია, არ დასჯერდება შვიდ დესეტინიან ნორმას და კმაყოფილი არ იქნება.

ხსენებული ელემენტები კი წარმოადგენენ სოფლის ძალას, აზრსა და მიმართულებას.

და, გაბატონებულ პარტიას თუ წვრილ მიწის მოქმედთა გულის მოგება სწადია, კიდევ ბევრის დათმობა დასჭირდება.

მაშასადამე მიწის კანონი ძირიანად უნდა შეიცვალოს.

ნესტარი.

ინტერვიუ კაპის დელეგატთან.

კითხვა: შეგიძლიათ, თქვენო უმღვდელოესობავ გვითხრათ, რა შეხედულობის არის ევროპა საქართველოზე?

პასუხი: ევროპა დიდის სიმპატიით უცქერის ახალ რესპუბლიკებს ამიერ კავკასიაში დაარსებულებს. განსაკუთრებით საქართველოს; საფრანგეთი გაკვირებაშია რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში, საქართველომ ყველა დარგში მოაგვარა დემოკრატიული რესპუბლიკა. თვით იტალიელები ამავე აზრის არიან, იგი მომხრეა აღაიროს დამოუკიდებლობა და დაადასტუროს დამოუკიდებლობის აქტი. მაგრამ ნაბიჯის გადადგმა უძნელდება და ვერ გაუბედია, ვინაიდგან მოკავშირეებთან ერთგვარი დამოკიდებულება აქვს.

დღიური.

საბჭოთა რუსეთმა ეკონომიურ საქმეებში ამერიკასთან და ინგლისთან ერთად მუშაობის სურვილი განაცხადა.

გლეხთა აჯანყებამ დენიკინის წინააღმდეგ ფეხი მოიკიდა ეკატერინოსლავის, პოლტავის და კიევის გუბერნიებში.

„კრეც ცაიტუნგი“-ს გადმოცემით გერმანიაში ელიან მთავრობის კრიზისს. მოსალოდნელია სოციალისტების გამოსვლა მთავრობიდან.

ბოლშევიკები კოზელის მიმართულებით წინ იწევენ.

ობერეცის და მედვედიცის მიმართულებით წითელმა ჯარმა შეტევა დაიწყო და დონს მიუახლოვდა.

ინგლისს უნდა ქ ბუდაპეშტი თავის აღმოსავლეთ სავაჭრო პუნქტად გახადოს.

მილანში შეტაკებები მოხდა.

საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკებაა გამართული ურთიერთის დახმარების შესახებ.

საფრანგეთის გაზეთები უფრო გულიათ გამოთქვამენ საქართველოსადმი სიმპატიას ჩემის აზრით, პირველი დამადასტურებელი საქართველოს დამოუკიდებლობის იქნება საფრანგეთი.

კითხვა: როგორ გგონიათ დამოუკიდებლობის ცნობა ევროპის მიერ როდის მოხდება?

პასუხი: ჩემ აზრს, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება და არც აქვს. მხოლოდ შეძიძლია მოგახსენოთ პრესის მიხვედით, რომ თუ კავკასიის რესპუბლიკებმა არ შეჰქმეს მტკიცე კავშირი, ამ რესპუბლიკების ცნობა ძნელია. ვინაიდგან, ევროპას არ უნდა კავკასიაში მეორე ბალკანეთი აღმოაჩინოს. ევროპა არ ისურვებს, რომ კავკასიის ერები მუდამ ბრძოლაში იყვენ.

კითხვა: ნუ თუ რომის პაპი, სიმპატიით უყურებს საქართველოს დამოუკიდებლობას?

პასუხი: დიახ, პაპი ყურადღებით ეპყრობა საქართველოს და მე გამომგზავნა რათა დაახლოებით გამეცნო საქართველო, მისი მთავრობა. პირადათ მე დიდი კმაყოფილი დავრჩი, და ყოველაფერს მოგახსენებ მის უწმიდესობას, იმედი მაქვს რომ პაპი დიდ გავლენას იქონიებს ევროპის სახელმწიფოებთან. ხოლო მე პირადათ, პატიოსან სიტყვას ვიძლევი რომ გავაცნობ საქართველოს იტალიას, და ჩემს სამშობლოს საფრანგეთს. ამასთანავე, ვეცდები გავლენა ვიქონიო საქართველოს დამოუკიდებლათ აღიარებაში.

კითხვა: როგორი შთაბეჭდილება გაქვსთ საქართველოზე და ქართველებზე.

პასუხი.—საქართველოს მშვენიერობაზე და მის ბუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ხოლო ქართველები ჩემის აზრით ემსგავსებიან ფრანგებს: ამ ორ ერს ერთნაირი სტუმართ მოყვარეობა აქვსთ. თვით ლაპარაკშიც ქართველებს პირდაპირი თქმა აქვსთ, როგორც ფრანგებს. ამით ქართველები მოსაწონი ერია. ჩემის აზრით ქართველი ინტელიგენცია, არ ჩამოურჩება ევროპიელებს; განათლება უკვე განვითარებულია და დაწინაურება ქართველ ერის ყოველ ნაირ მეცნიერებაში აღსანიშნავია. ამ მხრივ ქართველები უფრო ევროპიელები არიან ვიდრე აზიელები.

კითხვა: რას ფიქრობთ ეკლესიის შესახებ?

პასუხი: მართლ მადიდებლებში შევნიშნე, რომ ისინი ფანატიკოსები არ არიან ისე როგორც ბერძნები და ბულგარელები.

და ქართველობა უფრო უახლოვდება ევროპის განვითარებას, და წინ სვლას ვიდრე სხვა ერები.

დიდის სიხარულით აღვნიშნე რომ ქართველი კათოლიკენი ლათინურ ტიპიკონის მოყვარულნი არიან, და მას პატივის ცემით იხსენიებენ.

მღვდელმთავრები და სამღვდელოება დიდის კრძალვით იხსენიებს რომის პაპს, და შემიძლია აშკარათ ვსთქვა, რომ ეკკლესიების შეერთების საკითხში ქართველები უარზე არ იქნებიან.

როცა საქართველოს დამოუკიდებლობა დადასტურდება და სამუდამოდ განამტკიცებენ პოლიტიკურ თავისუფლებას, მაშინ შეიძლება აღვძრათ ეს საკითხი და ქართველთა სამღვდელოება ალბათ ინიციატივას თვითონ იკისრებს. ამით, საქართველო სამუდამოთ უზრუნველ ყოფილ იქნება გარეშე მტრებისაგან, არა მარტო რომის მიერ, არამედ მთელი ევროპის მიერაც.

ქართველი კათოლიკების საკითხი, მალე გადაწყდება, ჩემის აზრით ქართველებს ორი ტიპიკონი ექნებათ! ლათინური და ქართული, ეყოლებათ ორი მღვდელმთავარი [illegible] ტორი. [illegible] თინური ტიპიკონი, როგორც დღემდე, ხოლო მესხეთ ჯავახეთის ქართ. კათოლიკები სომხურიდან ქართულ ტიპიკონზედ გადმოვლიან, როგორც სურვილი გამოაცხადეს.

ს. გოზალიშვილი.

(შემდეგი იქნება.)

პაპის ლეგატი ქუთაისში.

შაბათს დილის 7 საათზედ ქუთაისში ჩამოვიდა პაპის ლეგატი.

ქუთათლები შეკრებილნი შეხვდენ ლეგატს კათოლიკების ტაძრის ეზოში. ეკლესიის ბაღი მშვენიერათ იყო მორთული.

კვირას წირვის შემდეგ, ლეგატმა სიტყვა წარმოსთქვა ეკლესიაში. ეს სიტყვა გადათარგმნილ იქნა დონ დამიანეს მიერ; საზეიმო წირვის შემდეგ კათოლიკეთა ეკლესიამ პაპის ლეგატს გაუმართა სადილი, სადაც მოწვეულ იყვნენ მიტროპოლიტი, ქალაქის თავი და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

ორშაბათს ლეგატი გელათში წაბრძანდა, სადაც არქეოლოგიურ საკითხებში მეცნიერული ცოდნა გამოიჩინა.

საღამოს გამართულ იქნა ვახშამი ქუთაისის მიტროპოლიტის და სხვა პირების დასწრებით.

პაპის ლეგატმა სამშაბათს დაათვალიერა მუზეუმი.

ლეგატი საათის 3 გავიდა ქუთაისიდან, იგი დიდძალმა საზოგადოებამ გააცილა.

მთის ასული „დალი“.

(ნაკვთი სვანთა თქმულებიდან.)

საოცარი რამ არის მთის ასული „დალი“. იგი ხან, თითქოს გამაგრილებელ დილის ნიავად გაუვლის წინ უგზო-უკვლოდ მოხეტიალე მონადირეს, და ზოგჯერ კი აჩრდილსავით თვალ წინ გადაეფარება, რომ მოხიბლოს და მოაჯადოოს იგი.

მისი სიო სასიამოვნო ერუანტელგვრის მთის ლაღ შვილებს ჯიხვარჩვთ, რადგან ამით, ეს მათი მფარველი ანგელოზი, აგებიებს საფრთხეს მოახლოვებულს და სწორედ ეგ გახლავს იმის მიზეზი, რომ მონადირე ეგრე გაურბის ამ სიოს, რადგან იცის, რომ ყოველივე მისი მოძრაობა, უხილავი ქსელით გადაეცემა თავისუფლად მონავარდე ჯიხვს, ან არჩვს და მაშინ უნდა ნახოთ, თუ რა საცოდავად დაიხვნეშებს იგი, თითქოს ამ კენესით სწყევლის ადამიანს, რომელიც აქ, ამ მიუვალ მთებშიც, ამ თოვლის ქარის და ქარიშხლის სამეფოში, აქაც არ აძლევს ნებას თავისუფლად ინავარდოს. მაგრამ ამათ ცხოვრებაშიდაც არსებობს ის სანეტარო წუთები, როდესაც ისინიც თავისუფლად გრძნობენ თავს, როდესაც არ ეშინიათ თვით ადამიანის, ამ მათი თავისუფლების პირველ მტრის, რადგან იციან, რომ მათი გაუმაძღარი ლტოლვა, მათ სიცოცხლის მოსასპობად, ეხლა მათ ვერ მისწვდება. ეს წუთები არის, ამ ბედნიერებას განიცდიან სწორედ იგინი მაშინ, როდესაც მათი მფარველი ანგელოზი მთის ასული „დალი“ მის კალთებ ქვეშ მოიკალთოებს ამ მთის ლაღ შვილთა, როდესაც იგი მათ გადააფარებს თვის ოქროს ნაწნავებს და ტკბილ ნანინას დამღერის, რომელსაც განს აძლევენ თვით სალნი კლდენი და უნდა უყურათ მაშინ, როდესაც სასიამოვნო ხმა მოედება ზუზუნის ნოტით მთის კალთოებს. ეხლა არავის არ შეუძლია, რომ მათ ხელი შეახოს, რადგან „დალი“ თვის სილამაზით ყველაფერს აჯადოებს და მთლად თვით ბუნებასაც იმონებს.

საოცარი სანახავია იგი ამ დროს: იგი თითქოს ლანდია, მოჩვენებაა, თეთრი ვით თოვლი, ნაზი ვით მთის სიო ზაფხულის პაპანაქებაში, თვალები ცეცხლის მფრქვეველი, შავი ვით კუნაპეტი ღამე, ღრმა ვით უძირო ზღვის სიღრმე, მოქცევა ჯადოსნური, მომხიბვლელი, მიმოხედვა დაწყნარებული, ზღვის ტალღის სროლის მსგავსი, შეხედულება მომაჯადოებელი, ტანი ვნებათა დაუწყნარებელ ღელვის აღმძვრელი და ლაპარაკი—ჰარმონია მუსიკის მსგავსი, სასიამოვნო სასმენი.

მას შეუძლია თვისი ჯადოსნური სილამაზით მოხიბლოს თვით ზეცის სტიქიონთა ძალები, მას შეუძლია შეაჩეროს ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი.

იგი, ხორცშესხმული ანგელოზია რომელსაც ემორჩილება ძირს ყოველივე, მაგრამ დამისახელეთ რა არის ისეთი, რომ სიყვარული არ განეცადოს და მისი ალი არ მოსდებოდეს.

— და ამ ღმერთაშიდაც ყოფილა სიყვარული და შეუყვარდა მასაც ვინმე განთქმული მონადირე ბეთქან.

ფიცი მოსთხოვა.

მან ფიცით უპასუხა.

გადაუშალა თვის ოქროს ნაწნავი და დააძინა.... მის გულ-მკერდზე მისცა მას ბინა... იგი გამოუცდელი, სპეტაკი, უანგარო ვით ცის ცვარი, სანამ დედა-მიწას დაეცემოდეს, დაიორო ამ ახალი ბედნიერებით და ნელ-ნელა ბუტბუტებდა: „ნუ თუ ბეთქან შენ სამუდამოდ ჩემი იქმნები და არავისზე არ გამცვლი, ნუ თუ შენ ჩემს მეტს არავის არ შეიყვარებ, არ მიღალატებ.

მითხარი გენაცვალე თუ გინდა, რომ დასტკბე და დარჩე ჩემთან, იქ იმ ჯოჯოხეთის მსგავს სოფელში ნუ წახვალ, იქ შეგაცდენს ვინმე... აქ იყავ ჩემთან, ამ მთის მეფობას შენ მოგანიჭებ, შენვე გაუმოქცევ ჩემს ძლიერ ძალას, შენ ხელ ქვეით იქმნებიან-აი ეს მთის ლაღი შვილნი ჯიხვ- არჩვნი, შენ მათი მამა იქმნები და მე კი... ღედა... ოხ რა ბედნიერებაა...

მე ხან დილის ნიავად მოგეფლინები, ხან მრისხანე ჭექა-ქუხილად, და ხან კი ჯადოსნურად ყელს მოგეხვევი გულს ჩაგიკონავ და...“

და რთავდა იგი ამ ზღაპრებს მომავალ ტკბილ სიცოცხლისას, ჯადოსნობდა, ლაღობდა.... მაგრამ „თამარი“—ბეთქანის რძალი, ის ჯადოქარი ამას ყოველივეს ჯადოთი უყურებდა, იგი საშურის—ძიებო მახეს უგებდა ბეთქანს, რადგან ბეთქანმა უარს ჰყო მისი სიყვარული.

სიყვარული კი ნელა ბუტბუტებდა:—„ოხ გველო, ჯადოქარო, რა გინდა, რისთვის უშხამავ ორ ადამიანს წმიდა სიყვარულს“.

დაითრო ბეთქანი ამ სიტკბოებით, გამოერკვია, სიზმარი ეგონა; მაგრამ მან როდესაც ისევ ის სიტყვები გაიგონა, მიხვდა, გაახსენდა ყოველისფერი, ერთი ჯადოსნურად კიდევ გადაეხვიენ და განშორდენ იმ იმედით, რომ მალე ნახავდენ კვლავ ერთმანეთს.

მაგრამ არ მოტყუილდენ—ისინი განშორდენ საუკუნოდ და ეს ყველაფერი სიზმარი იყო.....

II

გავიდა დრო, ბეთქანი თან—და თან იცვლებოდა, იგი სწუხდა, გმინავდა, არ უნდოდა ეღალატნა მთის ასულისთვის; არ უნდოდა დაეგმო უმწიკვლო წმიდა სიყვარული, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

სამოქალაქო პანაშვიდი. დღეს დილით 12 საათზე ქალაქის თეატრში, ახლად გარდაცვლილ კომპოზიტორ ნიკოლოზ სულხანიშვილის პატივსაცემლად გარდახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. სასურველია პანაშვიდზე საზოგადოების მოსასმენად შესრულებულ იქნეს განსვენებულის „ჰიმნი“, რომელმაც ეროვნულ ჰიმნთა შეჯიბრებაში პირველობა დაიჩინა.

ახალგაზდობის კრება. სამშაბათს 9 დეკემბერს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში, დანიშნულია ქუთაისში მყოფ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ახალ გაზრდების კრება.

ქართული ბონების კურსი. „კერენკების“ და დონის ფულების კურსი დაეცა. ქართული ბონები 60 პროცენტით მეტათ ფასობს.

სამუშაო დღე სასამართლოებში. იუსტიციის სამინისტროს ცირკულიარით სასამართლოთა დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 9 საათიდან, და დასრულდება სრულ 3 საათზე. საქმეების გარჩევა 10 საათიდან დაიწყება.

ქალაქის საბჭოს სხდომა. სამშაბათს 9 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დღიურის გასინჯვა. 2) შრომის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა, ამავე ბირჟის გამგის და მდივნის დამტკიცება და 3) ხარჯთ—აღრიცხვის განხილვა.

მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების საქმეები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისის სამაზრო ერობას მოსთხოვა დაუყოვნებლივ იქნას გამოგზავნილი მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების მთელი საქმეები სენატში.

უძრავ ქონების ჩამორთმევის საჩივრების გამო. „შინაგან საქმეთა სამინისტრო ერობას ატყობინებს; ვინაიდან სამინისტროს დაგვიანებით მოსდის საჩივრები იმ პირთ, რომლებსაც საბჭოს ყრილობა 11 ივლ. ა. წ. კანონის ძალით იძულებით ართმევს უძრავ ქონებას, თვითმართველობათა საკუთრებათ, და ამის გამო-საქმის განხილვა მთავრობაში ფერხდება ამიტომ კანცელარია, გთხოვთ თქვენი დადგენილების მთელი ასლი, ხსენებულ კანონის მიხედვით ჩამორთმევის ან დროებით დაჭერის შესახებ, უწყებით ჩააბაროთ უძრავ ქონების მეპატრონეს, და უწყება დადგენილებასთან ერთათ გადმოგზავნეთ კანცელარიაში.

თეატრი. ქუთაისის ქალაქის თეატრში დღეს წარმოდგენილ იქნება შალიკაშვილის „ჯადაჭრილი მუხა“.

ბ. გომელაურის ბენეფისი სამშაბათს 9 დეკემბერს ქალაქის თეატრში ათი წლის სცენაზე მოღვაწეობის გამო, გაიმართება ბ. გომელაურის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ლენგიონის პიესა იაპონელების ცხოვრებიდან „ტაიფუნი“ ტოკერამოს როლს შეასრულებს მობენეფისე.

უცხოეთი

აზერბაიჯანი

ზანგეზურში მომხდარ ამბების გარშემო.

ყარაბახის დროებით გენერალ გუბერნატორი სულთანოვი აზერბეიჯანის მინისტრის თავმჯდომარეს შუშიდან ატყობინებს, რომ საზავო მოლაპარაკების შემდეგ სომხეთთან ალარაფერი არ უნდა მომხდარიყო ზანგეზურის მაზრაშიო. მაგრამ გიორგობისთვის 23 ს ამ მაზრაში სომხების რეგულიარულ ჯარებმა დაარბიეს მაჰმადიანთა ექვსი სოფელი: ოხჩი, ფირდავუ, შაბალი, ატგიზი, აჯიმი და კუივილარი. მოსახლეობის უმრავლესობა ამოუწყვეტიათ. ამის შემდეგ სომხები კვლავ განაგრძობენ მაჰმადიანთა სოფლების დარბევას. ხალხი აღელვებულია. სულთანოვი სთხოვს მინისტრს სასწრაფო ზომების მიღებას სომხების თავდასხმის წინააღმდეგ.

ამის გამო აზერბაიჯანის გარეშე საქმეთა მინისტრმა გიორგობისთვის 29 ს ნოტა გაუგზავნა სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელშიც ის ატყობინებს ზანგეზურის არეში უკანასკნელად მომხდარ ამბებს და მოითხოვს დაუყონებლივ შეჩერებულ იყოს სომეხთა რეგულიარულ ძალების თავდასხმა მაჰმადიანთა სოფლებზე. ამაზე სომ. გარ. საქ. მინ. ა. ხატისოვი იძლევა შემდეგ პასუხს, რომ გიორგობისთვის შუა რიცხვებში მაჰმადიანებმა გამოილაშქრეს სომხეთის სოფლებზე. მათ მიზნად ჰქონდათ სომხეთის ზანგეზურის მხარის ხელში ჩაგდება, ამის გამო ჩვენ გაუწიეთ წინააღმდეგობა, მაგრამ არავითარი დარბევა მაჰმადიანთა სოფლებისა არ მოუხდენია ჩვენ ჯარს. ამ ჟამად სომხეთის მთავრობას არავითარი ცნობა არ მოეპოება იმის შესახებ, თუ რა ხდება ზანგეზურის სანახებში. ზანგეზურში სომხეთის მთავრობას არავითარი შეიარაღებული ძალა არ გაუგზავნია და ყოველივე ზომებია მიღებული რაიმე გამოსვლების და შეტაკების წინააღმდეგ“.

საფრანგეთი

საფრანგეთის მსხვერპლი ომში.

თანახმად ოფიციალურ ცნობებისა 1-ლ 1914 წლიდან დროებითი ზავის ჩამოგდებამდე საფრანგეთის მსხვერპლი შემდეგ რიცხვებში გამოიხატება: მოკლულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი უდრის 1,354,400 კაცს, ამათგან 36,200 ოფიცერია და 1,354200 ჯარისკაცი. დროებით ზავის შემდეგ ჭრილობათაგან გარდაიცვალა 700 ოფიცერი და 28,000 ჯარისკაცი. ომის განმავლობაში 2,800,000 კაცი დაიჭრა.

ყველაზე უფრო შემაზარი იყო ომის პირველი 18 თვე, რომლის დროს საგრანგეთმა 941,000 კაცი დაკარგა, მაშინ როდესაც ომის თვის განმავლობაში სულ 1,826,000 კაცი დაკარგა, მათ მორის მტერს ტყვეთ 507,000 კაცი ჩავარდნია. („ტან“.)

იტალია.

იტალიის პალატაში.

სოციალისტ დეპუტატებმა ფიცი მიიღეს. პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს ორლანდო 351 ხმით, დანარჩენ 143 დეპუტატმა წინააღმდეგ მისცა ხმა. უკანასკნელნი თავმჯდომარედ სოციალისტ ლაცარს ასახელებენ.

პოლონეთი.

პოლონეთი და ბათომი.

პოლონეთმა შავ ზღვაში შეიძინა 4 გემი ბათომთან მისვლა-მოსვლის დასამყარებლად.

ბელგია.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის პირველი ეროვნული კონფერენცია გაიხსნა ბრიუსელში ბარონ დეშანის თავმჯდომარეობით.

ეგვიპტე

მოძრაობა ეგვიპტეში.

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი ალექსანდრიიდან იტყობინება, რომ ბერძენთა მოხსენებით ზემო-ეგვიპტის მოსახლეობა ევროპიელების წინააღმდეგ აჯანყდა. ბერძნები, რათა თავი ეხსნათ ექსკესებიდან, ქაირსა და სხვა ქალაქებში შეიხიზნენ: დელეტის მცხოვრებნი მტრულად არიან განწყობილნი. ფაკუში ბრბო დაეცა მართლმადიდებელთა ეკლესიას, დალეწა დუქნები და შენობები. ალექსანდრიის საპამბო ბირჟამ ღვინობისთვის 29-დან ახალ განკარგულებამდე შესწყვიტა მუშაობა.

გიორგობისთვის 8-ს ცნობებით, ალექსანდრიაში საშიშარი მდგომარეობა იყო. მოუთმენლად ელიან მარშალ ალენბის მოსვლას. გიორგობისთვის 2-ს ბრბომ სრულიად უმიზეზოდ ქვებით ჩაქოლა ინგლისელი ჯარისკაცები და სურდა სამხედრო ჰოსპიტალში შეჭრა. დარაჯი იძულებული იყო იარაღისთვის მიემართა მათ წინააღმდეგ, ერთი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს.

უკანასკნელი ცნობები

მოხალისეების შეჯგუფება სოჭის მიდამოებში.

„ვოლნი გორეცი“ იუწყება: ყაბარდო—ჩერნომორიის ნაპირებიდან მოსულ პირების ცნობით, სოჭის ოლქში ქართველ მხედრობის ახლო-მახლო თავს იყრიან მოხალისეები. ამას წინად ნოვოროსისკიიდან ადლერში შემოვიდა ორი გემი მოხალისეჯ. კ. და მათი საჭურველებით დატვირთული. ერთი პოლკი,—რომელიც სტავროპოლსკში, ეკატერინოსლავსკში და ხარკოვში შეკრიბეს,—გაიგზავნა არმავირში და თუაფსეში რკინის გზით. ამას გარდა ხმებია, რომ გროზნაში მდგარი ჩეჩენ მოხალისეთა ჯარი გაიგზავნა სოჭაში.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

სამოქალაქო პანაშვიდი. დღეს დილით 12 საათზე ქალაქის თეატრში, ახლად გარდაცვლილ კომპოზიტორ ნიკოლოზ სულხანიშვილის პატივსაცემლად გარდახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. სასურველია პანაშვიდზე საზოგადოების მოსასმენად შესრულებულ იქნეს განსვენებულის „ჰიმნი“, რომელმაც ეროვნულ ჰიმნთა შეჯიბრებაში პირველობა დაიჩინა.

ახალგაზდობის კრება. სამშაბათს 9 დეკემბერს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში, დანიშნულია ქუთაისში მყოფ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ახალ გაზრდების კრება.

ქართული ბონების კურსი. „კერენკების“ და დონის ფულების კურსი დაეცა. ქართული ბონები 60 პროცენტით მეტათ ფასობს.

სამუშაო დღე სასამართლოებში. იუსტიციის სამინისტროს ცირკულიარით სასამართლოთა დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 9 საათიდან, და დასრულდება სრულ 3 საათზე. საქმეების გარჩევა 10 საათიდან დაიწყება.

ქალაქის საბჭოს სხდომა. სამშაბათს 9 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დღიურის გასინჯვა. 2) შრომის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა, ამავე ბირჟის გამგის და მდივნის დამტკიცება და 3) ხარჯთ—აღრიცხვის განხილვა.

მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების საქმეები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისის სამაზრო ერობას მოსთხოვა დაუყოვნებლივ იქნას გამოგზავნილი მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნების მთელი საქმეები სენატში.

უძრავ ქონების ჩამორთმევის საჩივრების გამო. „შინაგან საქმეთა სამინისტრო ერობას ატყობინებს; ვინაიდან სამინისტროს დაგვიანებით მოსდის საჩივრები იმ პირთ, რომლებსაც საბჭოს ყრილობა 11 ივლ. ა. წ. კანონის ძალით იძულებით ართმევს უძრავ ქონებას, თვითმართველობათა საკუთრებათ, და ამის გამო-საქმის განხილვა მთავრობაში ფერხდება ამიტომ კანცელარია, გთხოვთ თქვენი დადგენილების მთელი ასლი, ხსენებულ კანონის მიხედვით ჩამორთმევის ან დროებით დაჭერის შესახებ, უწყებით ჩააბაროთ უძრავ ქონების მეპატრონეს, და უწყება დადგენილებასთან ერთათ გადმოგზავნეთ კანცელარიაში.

თეატრი. ქუთაისის ქალაქის თეატრში დღეს წარმოდგენილ იქნება შალიკაშვილის „ჯადაჭრილი მუხა“.

ბ. გომელაურის ბენეფისი სამშაბათს 9 დეკემბერს ქალაქის თეატრში ათი წლის სცენაზე მოღვაწეობის გამო, გაიმართება ბ. გომელაურის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება ლენგიონის პიესა იაპონელების ცხოვრებიდან „ტაიფუნი“ ტოკერამოს როლს შეასრულებს მობენეფისე.

სულხანიშვილის გარდაცვალების გამო.

ნიკოს.

შენი სამშობლო დღეს სიმღერის
გუნებაზეა,
ილეწ მოლეწა, დაამსხვრია რკინის
რკალები,
მართალი არის დღეს ის კიდევ ცეცხლის ზღვაზეა,
მაგრამ დღეს იქაც იმარჯვებენ გმირთა ძალები.
სამშობლო შენი დღეს სიმღერის გუნებაზეა,
მხოლოდ არ ესმის შენგან ბანი, არც მოძახილი,
ის ცეცხლთა ფრქვევით უმადური
მხოლოდ სხვაზეა,
შენ კი გამწყრალხარ, გაბუტულხარ,
მოგსვლია ძილი.
ჩვენო ძვირფასო, ახლა იყავ უფრო
საჭირო:
ის არ კმაროდა რაც გვიმღერე, რაც
გვიგალობე,
შენს გმირულ ჰიმნებს, ჯერ უთქმელებს, გულში ნადუღებს
რად შემოავლე საუკუნოდ სიჩუმის
ღობე?!
თუ რომ დიდებმა გაწყენინეთ, არ
გიგდეთ ყური,
რისთვის დასტოვე ცელქი ყრმების,
ბავშვთა სამეფო?
დღეს აპირებდნენ მოერთმიათ ყვავილთ გვირგვინი,
ვისღა დაუდგან სავარძელი, სკამი
სამეფო?!.
შენგან შექმნილი სიმღერები უკვდავსა გყოფენ,
რომელთ დიდებაც შენთან ერთად
არ მიგვეფარა,
მხოლოდ მას ვჩივით და გვაწუხებს
„პატარა კახის“
თვალმა ცრემლები ასე ადრე რისთვის დაღვარა!..

შიო მღვიმელი.

(„ივერია“).

...რამ სძლია ჯადოქარმა.....

და ერთ ღამეს, როდესაც ბეთქანი სანადიროდ წასვლას აპირობდა,—თამარი მას გარს ეხვეოდა, სიყვარულს, შებრალებას სთხოვდა, მის წინ მუხლ მოდრეკილი ფეხებს, ხელებს უკოცნიდა.

მალე თვალების და ტუჩების კოცნაზე... გადავიდა... თამარი ბეთქანს ჯოჯოხეთურის აღგზნებით გარს შემოეხვია, თავისი ბოროტი, უძირო და ზღვა ღრმა თვალები მის თვალებში მაგრა გაუყარა;—ვერ გაუძლო ამ ცეცხლ-მოკიდებულ ვნებიან თვალებს შეთქანმა... ჯოჯოხეთის ალი ლოგზნო, ცეცხლის გენია მის ტანს ოედო. დაიმონავა...

ბეთქანმა მაგრად ჩაიკრა თამარი თვის კლდესავით მაგარ გულ-მკერდში; აგრა მოხვია თვისი მძლავრი მკლავები და იგი კი ვით გველი ტანს არს შემოეჭდო...

არასფერი არ ახსოვდათ მათ ამ დროს....

ეხლა ისინი უსულონი იყვნენ, ალქვავებულ ნეშტსა ჰგავდენ, ეხლა არ ახსოვდა ბეთქანს არც ის ფიცი, რომელიც მან დასდო „დალის“ წინაშე და არ ახსოვდა არც თავისი ცოლი...

და გათავდა ყოველისფერი....

ბ. მუშვან.

(შემდეგი იქნება).

უცხოეთი

აზერბაიჯანი

ზანგეზურში მომხდარ ამბების გარშემო.

ყარაბახის დროებით გენერალ გუბერნატორი სულთანოვი აზერბეიჯანის მინისტრის თავმჯდომარეს შუშიდან ატყობინებს, რომ საზავო მოლაპარაკების შემდეგ სომხეთთან ალარაფერი არ უნდა მომხდარიყო ზანგეზურის მაზრაშიო. მაგრამ გიორგობისთვის 23 ს ამ მაზრაში სომხების რეგულიარულ ჯარებმა დაარბიეს მაჰმადიანთა ექვსი სოფელი: ოხჩი, ფირდავუ, შაბალი, ატგიზი, აჯიმი და კუივილარი. მოსახლეობის უმრავლესობა ამოუწყვეტიათ. ამის შემდეგ სომხები კვლავ განაგრძობენ მაჰმადიანთა სოფლების დარბევას. ხალხი აღელვებულია. სულთანოვი სთხოვს მინისტრს სასწრაფო ზომების მიღებას სომხების თავდასხმის წინააღმდეგ.

ამის გამო აზერბაიჯანის გარეშე საქმეთა მინისტრმა გიორგობისთვის 29 ს ნოტა გაუგზავნა სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელშიც ის ატყობინებს ზანგეზურის არეში უკანასკნელად მომხდარ ამბებს და მოითხოვს დაუყონებლივ შეჩერებულ იყოს სომეხთა რეგულიარულ ძალების თავდასხმა მაჰმადიანთა სოფლებზე. ამაზე სომ. გარ. საქ. მინ. ა. ხატისოვი იძლევა შემდეგ პასუხს, რომ გიორგობისთვის შუა რიცხვებში მაჰმადიანებმა გამოილაშქრეს სომხეთის სოფლებზე. მათ მიზნად ჰქონდათ სომხეთის ზანგეზურის მხარის ხელში ჩაგდება, ამის გამო ჩვენ გაუწიეთ წინააღმდეგობა, მაგრამ არავითარი დარბევა მაჰმადიანთა სოფლებისა არ მოუხდენია ჩვენ ჯარს. ამ ჟამად სომხეთის მთავრობას არავითარი ცნობა არ მოეპოება იმის შესახებ, თუ რა ხდება ზანგეზურის სანახებში. ზანგეზურში სომხეთის მთავრობას არავითარი შეიარაღებული ძალა არ გაუგზავნია და ყოველივე ზომებია მიღებული რაიმე გამოსვლების და შეტაკების წინააღმდეგ“.

საფრანგეთი

საფრანგეთის მსხვერპლი ომში.

თანახმად ოფიციალურ ცნობებისა 1-ლ 1914 წლიდან დროებითი ზავის ჩამოგდებამდე საფრანგეთის მსხვერპლი შემდეგ რიცხვებში გამოიხატება: მოკლულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი უდრის 1,354,400 კაცს, ამათგან 36,200 ოფიცერია და 1,354200 ჯარისკაცი. დროებით ზავის შემდეგ ჭრილობათაგან გარდაიცვალა 700 ოფიცერი და 28,000 ჯარისკაცი. ომის განმავლობაში 2,800,000 კაცი დაიჭრა.

ყველაზე უფრო შემაზარი იყო ომის პირველი 18 თვე, რომლის დროს საგრანგეთმა 941,000 კაცი დაკარგა, მაშინ როდესაც ომის თვის განმავლობაში სულ 1,826,000 კაცი დაკარგა, მათ მორის მტერს ტყვეთ 507,000 კაცი ჩავარდნია. („ტან“.)

იტალია.

იტალიის პალატაში.

სოციალისტ დეპუტატებმა ფიცი მიიღეს. პალატის თავმჯდომარედ აირჩიეს ორლანდო 351 ხმით, დანარჩენ 143 დეპუტატმა წინააღმდეგ მისცა ხმა. უკანასკნელნი თავმჯდომარედ სოციალისტ ლაცარს ასახელებენ.

პოლონეთი.

პოლონეთი და ბათომი.

პოლონეთმა შავ ზღვაში შეიძინა 4 გემი ბათომთან მისვლა-მოსვლის დასამყარებლად.

ბელგია.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის პირველი ეროვნული კონფერენცია გაიხსნა ბრიუსელში ბარონ დეშანის თავმჯდომარეობით.

ეგვიპტე

მოძრაობა ეგვიპტეში.

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი ალექსანდრიიდან იტყობინება, რომ ბერძენთა მოხსენებით ზემო-ეგვიპტის მოსახლეობა ევროპიელების წინააღმდეგ აჯანყდა. ბერძნები, რათა თავი ეხსნათ ექსკესებიდან, ქაირსა და სხვა ქალაქებში შეიხიზნენ: დელეტის მცხოვრებნი მტრულად არიან განწყობილნი. ფაკუში ბრბო დაეცა მართლმადიდებელთა ეკლესიას, დალეწა დუქნები და შენობები. ალექსანდრიის საპამბო ბირჟამ ღვინობისთვის 29-დან ახალ განკარგულებამდე შესწყვიტა მუშაობა.

გიორგობისთვის 8-ს ცნობებით, ალექსანდრიაში საშიშარი მდგომარეობა იყო. მოუთმენლად ელიან მარშალ ალენბის მოსვლას. გიორგობისთვის 2-ს ბრბომ სრულიად უმიზეზოდ ქვებით ჩაქოლა ინგლისელი ჯარისკაცები და სურდა სამხედრო ჰოსპიტალში შეჭრა. დარაჯი იძულებული იყო იარაღისთვის მიემართა მათ წინააღმდეგ, ერთი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს.

უკანასკნელი ცნობები

მოხალისეების შეჯგუფება სოჭის მიდამოებში.

„ვოლნი გორეცი“ იუწყება: ყაბარდო—ჩერნომორიის ნაპირებიდან მოსულ პირების ცნობით, სოჭის ოლქში ქართველ მხედრობის ახლო-მახლო თავს იყრიან მოხალისეები. ამას წინად ნოვოროსისკიიდან ადლერში შემოვიდა ორი გემი მოხალისეჯ. კ. და მათი საჭურველებით დატვირთული. ერთი პოლკი,—რომელიც სტავროპოლსკში, ეკატერინოსლავსკში და ხარკოვში შეკრიბეს,—გაიგზავნა არმავირში და თუაფსეში რკინის გზით. ამას გარდა ხმებია, რომ გროზნაში მდგარი ჩეჩენ მოხალისეთა ჯარი გაიგზავნა სოჭაში.

ჟურნალ გაზეთებიდან.

ბანკეტი საქართველოს მისიის პატივსაცემათ.

გაზ. „ტან“ში 4 ნოემბრის ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი დეპეში რომიდან.

„იტალიის ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა ბანკეტი გამართა საქართველოს მისიის პატივსაცემათ, რომელსაც სათავეში საბახტარაშვილი უდგია. გარდა ვაჭრობა მრეწველობის მინისტრ ფერარისა, და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. გრაფ სფორცისა, ბანკეტს დაესწრენ სხვა სამინისტროების რწმუნებულები, და სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენელნი“

— იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს შალოიას, საუბარი ჰქონია კლემანსოსთან ინგლისის წინადადების შესახებ, რომლითაც ინგლისი მოითხოვს სათათრეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების გადადებას.

შვეიცარიის პარლამენტში

შვეიცარიის პარლამენტის არჩევნები პროპორციონალური სისტემით მოხდა. 189 დეპუტატში ადგილები შემდეგ ნაირად არის განაწილებული:

რადიკალ დემოკრატებმა მიიღეს 63 ადგილი (ქონდათ 108), კათოლიკ კონსერვატორებმა—42 (ქონდათ 42), გლეხების პარტიამ—27 (ადგილი არ ქონიათ). ლიბერალ დემოკრატებმა—9 (ქონდათ 11), აღმოსავლეთ შვეიცარიის დემოკრატებმა—4 (ქონ. 4). გრიუტლიანცელებმა—3 (ქონ. 3)! ბაზელის პროგრესისტ ბიუროკრატებმა—1 (ქონ. 1) მეთერთმეტე და მეოცდა ხუთე კანტონებში სოციალისტებმა ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ გაიყვანეს.

საბჭოთა რუსეთის ფინანსები.

სტოკგოლმის გაზ. „სოციალ დემოკრატის“ ცნობებით, საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტის ციფრები 1919 წლის პირველი ნახევარში შემდეგს გვეუბნებიან:

შემოსავალი—20.350,000,000

გასავალი—50.703,000,000

დეფიციტი—30.353.000,000.

ამავე ხანაში რკინის გზის ექსპლოატაციამ მისცა 4.250,000.000 დეფიციტი.

ბიბლიოგრაფია.

მიხ. ბოჭორიშვილის ეტიუდები.

წიგნი პირველი.

ძვირფასია სიტყვა ლამაზათ აკვეთილი, ვით ჩუქურთმები ძველი საყდარის.

მაგრამ უფრო ძვირფასია სტრიქონი, რომელიც სარკე არის უკვდავი სახის.

მე, როგორც მგოსანს მიყვარს გამოთქმათა ქარაგმების ამირბარი ტ განცდათა მრავალფერობის ჯადოსნური ყაბახი.

მიყვარს ლექსი რითმები' ი'ში დაღლილი და გაუჯგბარი, ვით ლურსმული ასოებით დაწერილი ლოცვა.

და მიყვარს ოცნება, როგორც ყვავილებში მიმოზა, რომელიც აისის სურნელებით იშლება და დაისის მწუხარებით კვდება, რომ კვლავ გაცოცხლდეს მზის პირველი ამბორით.

მინიატჯურა კარგი ოსტატისაგან ლამაზ, ფერად ჩარჩოში ჩასმული, ისეთივე ძვირფასია, როგორც ლექსი.

საქართველოში მინიატჯურის ნიჭიერი ოსტატი იშვიათია.

პროზა, რომელიც ერთი ძვირფასი თვალია ხელოვნების ბრწყინვალე გვირგვინისა, არ არის ლამაზსა და მშვენიერ ფორმებში ჩამოსხმული, არ არის განვითარებული.

ქართული ლექსი, როგორც ტეხნიკურის მხრივ, ისე რითმისა და სტილის აღნაგობით—შედეგრია.

დღეს თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლექსი იწერება უნაკლოთ.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პროზასა თუ მინიატჯურაზე.

ბოჭორიშვილის წიგნი, რომელიც გამოვიდა ნოემბრის შუა რიცხვებში ამ მხრივ იმედს იძლევა.

თუმცა წიგნის ფურცლებზე ეტიუდების გამოფენაში ვერ შეხვდებით ყოველ მხრივ დამაკყოფილებელ სურათს, ნიჭიერი და გამოცდილი მხატვრის ხელით შექმნილს, მაგრამ ის მაინც ძვირფასია.

ძვირფასია მისი „შექმნილი ლეგენდა“, რომელიც ნაზია, ვით შადრევანის ქაფი, და სევდიანი—როგორც შაშვის ლოცვა.

თამარი, შოთა!—ეს მეთორმეტე საუკუნის უკვდავი აჩრდილები, „შექმნილ ლეგენდაში“ ისეთივე ძვირფასები არიან, როგორც ხალხურ ლეგენდებში. „შექმნილ ლეგენდაში“ სიტყვათა ნათესაობა და სტილის მთლიანობა, მუსიკობა—დაჭრილ გედის სიმღერასავით მოუწყინარია და მომხიბლავი.

ლამაზია და შინაარსიანი: „რომანი მინიატჯურებათ“, რომლის კითხვის დროს გაგონდებათ რაბინდრანატ თაგორე.

როგორც დია ჩიანელს, ბოჭორიშვილს უყვარს შემოდგომა. ყვითელი ფოთლები. მწუხარე სახე. სევდიანი თვალები.

მისი სულიერი განცდა სავსე არის დამჭკნარი ყვავილებით.

მაგრამ... მხატვარი ყოველთვის ფრთხილათ უნდა იყოს, რომ რაგინდრაფერ საღებავებით, რომლითაც ის ხატავს ტილოზე საყვარელ სახეს, ერთი ხაზიც არ უნდა გაუბრუნდდეს, თორემ ფერების შეხამება ვერ დაფარავს მის სიმახინჯეს.

ხელოვანი უნდა ცდილობდეს შექმნას ჯერ არ ნახული, და ამბობდეს ჯერ არ გაგონილს.

ულაზათოა გამეორება.

ხელოვანი უნდა ეკუთვნოდეს თავის თავს.

—

რაც ითქვა შინაარსზე, ის არ ითქმის წიგნის ტეხნიკურ გამოცემის ფორმაზე. წიგნის ფორმატი უფრო რვეულს მოგაგონებთ, ვიდრე წიგნს. თვით წიგნის აწყობის დროსაც არ არის დაცული სიმეტრია. ასოთ-ამწყობი იგივე ხელოვანია, ხელოვნურ ნაწარმოების აწყობის დროს, მაგრამ ბოჭორიშვილის წიგნს ეს არ ატყვია. ჩანს არც ავტორს უფიქრია ბევრი, რომ წიგნი გარეგნულათ ლამაზი ყოფილიყო, რაც არ ეპატიება ხელოვანს.

წიგნის გარეგნულ სილამაზეს, ფორმატს, დიდი ნათესაობა აქვს შინაარსთან. მკითხველის თვალი უკმაყოფილოა, როცა ის ვერ ხედავს ლამაზ ყდაში ჩასმულ წიგნს და ძვირფას ქაღალდზე ლამაზათ აწყობილ სტრიქონებს.

მაგრამ ქუთაისს მაინც შეუძლია იამაყოს, რადგან აქ უკანასკნელ ხანებში ბევრი დაიბეჭდა წიგნები და ჟურნალები, რომელთა გამოცემის ტეხნიკური მხარეები, უმაღლეს წერტილამდისაა განვითარებული. და ბოჭორიშვილის წიგნი თუ ამ მხრივ არ არის დღეს დამაკმაყოფილებელი, შემდეგში, მეორე წიგნის გამოცემის დროს დარწმუნებული ვართ, თვით ავტორი ამ ნაკლს თავიდან აიშორებს.

სილამაზე ყოველთვის თხოულობს პირველ ადგილს.

რაჟდენ გვეტაძე.

მოწოდება.

დღეს, 7 ამა დეკემბერს დღის 12 საათზე ვაჟთა პირველი გიმნაზიის (კლასიკურის) დარბაზში, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ქუთათელი მიტროპოლიტის ნაზარის წინადადებით, ქართული გალობის მოყვარულთა წრის შესადგენათ მოწვეულია საზოგადო კრება. კრებაზე განხილული და დამტკიცებული იქნება წრის წესდება და ასარჩევია გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები.

პატივისცემით ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი აინტერესებს ჩვენი გალობის აღორძინების საქმე, კრებას დაესწროს.

წრის მომწყობი კომიტეტი.

გრძანება

რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა და სამხედრო უწყებათა მიმართ. № 215. 28 ნოემბ. 1919 წ თფილისი.

ვაცხადებ ცნობათ და შესასრულებლად:

ყველა რესპუბლიკის ქვეშევრდომი აფიცრები, სამხედრო ექიმები და სამხედრო მოხელეები, რომელნიც დღეს არ მსახურობენ ჯარის ნაწილებში, დაწესებულებებში და სამმართველოებში ან არ არიან გადარიცხული გადამდგარ ყოფაში, ვალდებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში გამოცხადდენ სამსახურის ნუსხებით თავიანთ მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსთან და მიიღონ ამ უკანასკნელიდან აღრიცხვაზე მიღების მოწმობა. ის აფიცრები, სამხედრო ექიმები და სამხედრო მოხელეები, რომლებიც არ გამოცხადდებიან და არ აიღებენ აღრიცხვაზე მიღების მოწმობას, მობილიზაციის ან სასინჯ გაწვევის დროს იქნებიან გაწვეულნი როგორც ჯარისკაცნი, ვინაიდან სამხედრო აღრიცხვის უფროსს ეფლება შესაფერი ცნობები არ მიეცემა.

ეს ბრძანება შედის ძალაში დღიდან პრესაში გამოცხადებისა.

შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ:

25 ნოემბერს ამა 1919 წელს, ქუთაისის მომრიგებელმა მოსამართლემ საჯარო სხდომაზე გაარჩია სიქმე აღძრული მასწავლებელ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე სოკოლოვსკისა, რომელმაც მე წერილში, ქუთაისის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწის სახელზე ცილი დამწამა, ვითომ მე უნდა მიმეთვისებიოს და გამეფლანგოს, კორძაიას გიმნაზიის მასწავლებელთა ჯამაგირები, ეს ცილის წამება გამოქვეყნებული იყო გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ № 108 და 114 ფურცლებზედაც. სასამართლოში ნათლათ დამტკიცდა, რომ ყველა ეს ცილის წამება განზრახ იყო შეთხზული სოკოლოვსკის მიერ ჩემს წინააღმდეგ, რომ ამით მას ჩირქი მოეცხო ჩემთვის, როგორც ამ გიმნაზიის დამაარსებელის თანაშემწისათვის.

სოკოლოვსკი გამტყუნდა, აღიარა თავის დანაშაული და მოიხადა ჩემს წინაშე ბოდიში, და ითხოვა დანაშაულის პატიება.

რადგან ამით მოხდა სრული რეაბილიტაცია ჩემი სახელისა, და სოკოლოვსკის ციხეში ჩასმა არ შეადგენდა ჩემს პირდაპირ მიზანს, მე ვაპატივე მას დანაშაული, და საქმე ამით მოისპო.

მიხეილ ალექსის ძე
წინამძღვარიშვილი.

—

ა. გეგეშიძის შეურაცყოფის გამო.

როგორც გავიგეთ 2 დეკემბერს ბაღდათის უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის გამგეს ა. გეგეშიძეს, რომელიც შკოლიდან შინ დაბრუნებულა, გზაში დახვედრია ალექსანდრე ნატრიაშვილი და უმიზეზოთ ფიზიკური შეურაცყოფა მიუყენებია. ჩვენ ბ-ნ გეგეშიძის ყოფილი, მოწაფეები ძლიერ აგვაღელვა ამ ამბავმა. ჩვენ ზიზღს უცხადებთ იმ ადამიანს, რომელმაც შეურაცყოფა მიაყენა სოფლისათვის თავდადებულ და ენერგიულ მოღვაწეს. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ არსებული წესი მსჯავრს დადებს ასეთ საზიზღრობის ჩამდენს. ვთხოვთ ბ-ნ ა. გეგეშიძეს მიიღოს ჩვენი ულაზარესი თანაგრძნობა. ბინძური ხელი და შეურაცყოფა ულირსი შვილისა, ვერ წაბილწავენ ამაღლებულისა და წმინდა, ს მშობლოს სიყვარულით გაჟღენთილ სულის მატარებელ სხეულს.

თქვენი ყოფილი მოწაფეები.

[illegible]

[illegible]

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.